დაწესებულების დირექტორმა ინტერვიუზე აღნიშნა,რომ წესში გაწერილი სქემით ამ ეტაპზე არ ხელმძღვანელობენ.
რაც ცხადყოფს,რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა არ მოქმედებს მექანიზმის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა მექანიზმის შესაბამისად. საგანამანათლებლო პროცესების დაგეგმის,შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ ბრძანება №178 18.12.2024

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე.
კერძოდ: რესურსებით უზრუნველყოფის პროცესში დაწესებულება გამოიყენებს მარეგულირებელ წესში გაწერილ პროცედურებს,ასევე განახორციელებს საბავშვო ბაღის პერსონალისთვის მარეგურილებერ წესში გაწერილი პროცედურების გაცნობას.რომელიც თანხვედრაში იქნება საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმთან.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით,ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი** შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1.დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რაც მდგომარეობს შემდეგში: დაწესებულებამ წამოადგინა მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი **(ბრძანება №193,28.12.2024),** საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმის,შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის შესაბამისად.**(ბრძანება №178 18.12.2024),** რომელიც მოიცავს:
 თითოეულ ჯგუფზე სახატავი საშუალებები არანაკლებ 3 განსხვავევბული ზომის.
სხვადასხვა ზომის ფორმის, კუბები არანაკლებ 3. ველოსიპედი არანკლებ 3 სხვადასხვა ზომის.ჯგუფური მუშაობის რესურსი არანაკლებ 7 განსხვავებული შინაარსის.ემოციების იდენთიფიცირების რესურსი არააკლებ 2 .როლური თამაშები არანაკლებ 4.დიდი ზომის ხის კუბები(ბლოკების)ნაკრები 1.ხის კუბურების ნაკრები 2.ხის და კორპის დაფები2.ქაღალდი 5.მაკრატელი 1ც,2 ბავშვზე.
 არსებული ჩამონათვალი შერჩეული კურიკულუმის საგანამანათლებლო რესურსების ტიპებთან თანხვედრაშია.

ჩამონათვალი ვიზიტის დროს გადამოწმდა და გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ჩამონათვალი ადგილზე ფიქსირდება, მაგრამ ბაღის მიერ წარმოდგენილ ინვენტარიზაციის დოკუმენტში (2024 წლის დეკემბერი) არ ფიქსირდება სრულყოფილად. ინვენტარიზაციით არ დასტურდება რესურსების არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მაგ:არ იკითხება შემდეგი: .ქაღალდი 5.მაკრატელი 1ც,2 ბავშვზე. სახატავი საშუალებები (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, საღებავები, პასტელი) ჭადრაკი, კარტი, მონოპოლი, ველოსიპედი.

2. საგანამანათლებლო რესურსი, წიგნების აღრიცხვის/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი, რომელიც ადგილზე დათვალერებით გამოიკვეთა არის დაწესებულების ბალანსზე, რაც დასტურდება ბაღის სახელზე არსებული ინვენტარიზაციის დოკუმენტით (2024 წელი დეკემებერი).

ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან გათვალისწინებით რესურსის საკმარისობა ვერ დადგინდა ბაღის მიერ წარმოდგენილი ინვერტარიზაციის

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებმა უზრუნველყოს კურიკულუმის შესაბამისი რესურსის არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ: უზრუნველყოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის მუდმივად ხელმისაწვდობა საგანმანათლებლო პროცესში, კონკრეტულად რაც განსაზღვრული აქვთ ბრძანებით „მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი“,**(ბრძანება №193,28.12.2024)** მნიშვნელოვანია არსებული რესურსის ფლობა იკითხებოდეს ბაღის ინვენტრიზააციის დიკუმენტში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე.
კერძოდ:.
დაწესებულება უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო რესურსებით მუდმივად ხელმისაწვდომობას მარეგულირებელი წესის მიხედვით, კონკრეტულად რაც განსაზღვრული აქვთ ბრძანებით „მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი“
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით,ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი** შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ბავშვების სათამაშო ოთახები სხვადასხვა ტიპის სივრცეებად არის დაყოფილი– თაროები/კარადები ბავშვის სიმაღლის შესაბამისი და ღია არის, ასევე ოთახის კედლის ფერი ნეიტრალურია.
ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა და გარე სივრცის/ეზოს მოწყობა დაწესებულებაში ისე არის მოწყობილი, რომ ბავშვებს მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადახვა უნარის განვითარების შესაძლებლობა აქვთ.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში:
კოლბოურის (სისვაძეების) ბაღის შიდა და გარე გარემო მარტივად აღქმადია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვს მიუხედავად სხვადასხვა უნარისა, საჭირო ინფორმაციის აღქმა მარტივად შეუძლია.
სივრცეებს შორის გასასვლელი ადგილი თავისუფალია, სივრცეებს შორის არის მკაფიო სხვაობა, რაც ბავშვებისათვის მათი დანიშნულების გარჩევას ამარტივებს. ჯგუფებში წარმოდგენილია შემდეგი: ვიზუალური განრიგი, სივრცე ეფექტური და კომფორტულია ბავშვებისათვის.

რესურსი ბავშვის სიმაღლეზეა განთავსებულ, მასალები მარტივად ხელმისაწვდომია, ავეჯი ხის ფაქტურის არის. არის წიგნიერების, წყნარ სივრცის, მეცნიერების, ხელოვნების ცენტრები(.ჯგუფის ფოტო/ მასალა)

გარე სივრცე /ეზო დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისია.დაწესებულებაში გარე სივრცე /ეზო ისე არის მოწყობილი, რომ ბავშვებს მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადახვა უნარის განვითარების შესაძლებლობა აქვთ.გარე გარემო მარტივად აღქმადია,რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვს მიუხედავად სხვადასხვა უნარისა, საჭირო ინფორმაციის აღქმა მარტივად შეუძლია.ბაღის ეზო მოწყობილია ფუნქციურ სივრცეებად,ბავშვებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შესათავაზებლად, სამივე თემატური მიმართულებით – ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება,სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ, სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩაერთონ და განვითარდნენ. აღნიშნული დასტურდება შიდა და გარე სივრცის ფოტო/მასალით

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების შიდა და გარე სივრცეებში საგანამანათლებლო რესურსები ორგანიზებული და განაწილებულია ბავშვების მრავალმხრივი განვითარების,დამოუკიდებლობის,ავტონომიურობის და თავდაჯერებლობის ხელშესაწყობად.

კოლბოურის(სისვძეების)საბავშვო ბაღში კურიკულუმით გათვალისწინებული ცენტრები (ხელოვნება, მეცნიერება, წიგნიერება) როგორც შიგნით ასევე გარეთ აღჭურვილია მრავაფეროვანი მასალით ასევე მეორადი მასალი.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ჯგუფურ ოთახებში,დარბაზში კურიკულუმის გათვალისწინებით მოწყობილ ცენტრებში,შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ორგანიზებით.
მასალის და ნივთების ორგანიზებულობა იძლევა საშუალებას,რომ ბავშვებმა ადვილად მოახდინოს ორიენტაცია,იცოდნენ და იპოვონ ის რაც სჭირდებათ.მასალას აქვს იარლიყები,იარლიყებზე გამოსახულია,როგორც ნახატი,ასევე დასახელება.მასალები ლოგიკურად არის დაწყობილი შესაბამისს ცენტრებში და ინახება დაბალ თაროზე,რაც იძლევა რესურსების ხელმისაწვდომობის საშუალებას ბავშვებისათვის.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება გარე სივრცეში/ეზოში კურიკულუმის შესაბამის სივრცეებში საგანამანათლებლო რესურსების ორგანიზებულობით.
ეზოში მოწყობილია სხვადასხვა სივრცეები შესაბამისი ინვენტარით და რესურსით,რომელიც ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია და რაც იძლევა საშუალებას,რომ ბავშვებმა ადვილად მოახდინოს ორიენტაცია,იცოდნენ და იპოვონ ის რაც სჭირდებათ.აღნიშნული დასტურდება შიდა და გარე გარემოს დათვალიერებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კოლბოურის(სისვაძეების)ბაღის ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, დასვენებისა და განმარტოებისთვის, კერძოდ აქტიური (როლური, სენსორული) და პასიური (სამაგიდო), მცირე (3-5) და დიდ ჯგუფურ (მთელ ჯგუფთან ერთად) აქტივობები, ასევე დასვენების (ძილი, კითხვა) და განმარტოების (კარავი).

- აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კერძოდ ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად, თითოეული ცენტრი აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და ღია რესურსით. გარემოში წარმოდგენილია ცენტრები, მათემატიკის ცენტრი, დრამატული თამაშების ცენტრი, ხელოვნების ცენტრი,წიგნიერების ცენტრი სადაც ბავშვებს წიგნების დათვალიერების საშუალება აქვთ;
- მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, კერძოდ ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; ოთახი თემატურ ცენტრებადაა დაყოფილი, და ფართობი იძლევა დიდ ჯგუფებში მუშაობას ისე, რომ ავეჯის გადაადგილება არ არის საჭირო. ბაღში არის ასევე დარბაზი სენსორული თამაშებისთვის, რომელიც აღჭურვილია ფორტეპიანოთი, მუსიკალური მარაკასებით, სარიჩხინოებით, მინიატურული მუსიკალური ინსტრუმენტებით.;დასვენებისა და განმარტოებისთვის, კერძოდ ეს ვლინდება შემდგომში: ყველა ასაკობრივ ჯგუფში არის წყნარი სივრცე გამოყოფილი, ფარდით , ბალიშით ფაზლით, სადაც ბავშვებს შეუძლიათ არსებულ სივრცეში განმარტოება, თამაში (დასტურდება ჯგუფების დათვალიერების ფოტო/მასალით).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულს.
საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვზე დაკვირვების შემდეგ მეთოდებს:
ა) ობიექტური დაკვირვება.

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს:
ა) ბავშვის შეფასება, რომელიც ივსება ორჯერ (დეკემბერი, ივნისი);
ბ) ჩეკ-ლისტები - რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ხუთ სფეროს.

ბავშვის დაკვირვება და შეფასება თანმიმდევრულია და უზრუვნელყოფს:
ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას
ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში
გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში
რაც ვლინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის **(ბრძანება №178 18.12.2024)** მუხლი.8 ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის მეთოდები.

დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი წესის მიხედვით:
ა) ობიექტური დაკვირვება.
ბ) ჩეკ-ლისტები - რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ხუთ სფეროს.
გ) ბავშვის შეფასების ფორმა,რომელიც ივსება ორჯერ (დეკემბერი, ივნისი)

ბავშვის შეფასების და დაკვირვების ფორმები დაწესებულებას წესის შესაბამისად აქვს დამტკიცებული დირექტორის მიერ. წესს თან ახლავს აღნიშნული ფორმები (საგანამანათლებლო პროცესების დაგეგმის, შეფასების და რესურსებთ უზრუნველყოფის **წესი.№178.18.12.2024)**

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანამანათლებლო პროცესების დაგეგმის, შეფასების და რესურსებთ უზრუნველყოფის **წესი(.№178.18.12.2024)** განსაზღვრავს ბავშვის შეფასების მიზნებს:

შეფასება ემსახურება:

- თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას
- თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას
- თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას

შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, რაც დასტურდება, როგორც ინტერვიუთი აღმზრდელთან და საგანამანთლებლო პერსონალთან (აღმზრდელი, მუსიკის მასწავლებელი) ასევე საგანამანთლებლო პროცესში შექმნილი დოკუმენტაციის ჩამონათვალით; (ბავშვის ინდივიდუალური პორთფოლიო, აღმზრდელის პორთფოლიო, დღის განრიგი, მოკლევადიანი გეგმა, რეფლექსიები, ასევე სხვა საგანამანათლებლო პერსონალის: ლოგოპედის,ფსიქოლოგი, მუსიკის მასწავლებელის პორთფოლიო).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს,რომ ბავშვის ნამუშევრებზე მის ნახატზე/აპლიკაციაზე ასახოს ბავშვის მიერ ნათქვამი/ნააზრები მისი მუშობის შესახებ.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული „საგანამანათლებლო პროცესების დაგეგმის,შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის (№178.18.12.2024) **მუხლი.8** ბავშვის დაკვირვების და შეფასების მეთოდების,ნაწილი 8-ის მიხედვით. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა)მოკლევადიან გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

ბ)გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

გ)საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;

დ)დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს;

შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდიფიცირებისთვის, რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმების შედგენაში ან/და მის კორექტირებაში.
აღმზრდელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროცესი ყველასათვის ერთნაირი არ არის. ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები გათვალისწინებულია ჯგუფის გეგმებში. ასევე აღნიშნავს, რომ დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია მას სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაშიც ეხმარება, რაც ბავშვებისათვის დღის საქმიანობების დაგეგმვასთან, მათი პროგრესის შეფასებასთან არის დაკავშირებული

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ ინდივიდუალური შეხვედრები.
ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება,როგორც ინტერვიუთი აღმზრდელთან, ასევე საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი.**ბრძანება№178 (18.12.2024) მუხლი.8** ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდების,**მე-5 ნაწილის** "დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:
„გ"პუნქტით „ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში;

აღნიშნული ცხადყოფს,რომ პროცესი გაწერილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი.**ბრძანება№178 (18.12.2024)**
- გრძელვადიანი(წლიური) გეგმის შემუშავების ჯგუფი.,**ბრძანება №191(27.12.2024)**
- დღის განრიგი;
- საგანამანათლებლო რესურსის სანიმუშო ჩამონათვალი.**ბრძანება №193 (28.12.2024)**
- წიგნების აღრიცხვის ჟურნალი/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი.
- ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/მიღება-ჩაბარების **აქტები.21.12.2024 წ**
- ბაღის შიდა და გარე სივრცის ფოტო/მასალა.
- კოლბოურის (სისვამეების) ბაღის **ოქმი N1 (30.01.2025)**
- ინტერვიუს შედეგები
- **ბრძანება №88 16.08.2025** არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის"საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის **2024 წლის 27 დეკემბრის №191-ე ბრძანებაში** ცვლილებების შეტანის შესახებ.
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა შემდეგნაირად: შეფასების ფორმატი ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის რეგულარულ შეგროვებას, მის ანალიზს და განხილვას. კურიკულუმის შეფასების პროცესში ჩართულია, როგორც საგანმანათლებლო პერსონალი, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

რაც დასტურდება ბაღის გამგესთან ინტერვიუთი და დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულმის შერჩევის,გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგურირებელი წესით. **ბრძანება №149(23.10.2024**)
კურიკულუმის შეფასება ეფუძნება:

- საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას
- ფიზიკური გარემოს შეფასებას
- მშობლების უკუკავშირს
- პერსონალის თვითრეფლექსიას

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა , კურიკულმის შერჩევის,გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგურურებელ **წესის ბრძანება #149 (23.10.2024 წელი)** მუხლი. 4 კურიკულუმის შეფასება და განვითარების მიხედვით.

1. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.
2. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.

შეფასების შედეგებს აანალიზებს დაწესებულება რაც ვლინდება/დასტურდება შემდეგში: დაწესებულების ხემძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ დაწესებულება გაანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს კურიკულმის შერჩევის,გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგურირებელ **წესის ბრძანება #149 (23.10.2024)** მუხლი.5 კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება მიხედვით.

1. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები.
2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი;

აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წესით და დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შერჩევის,გაზიარების,შეფასების და განვითარების მარეგურირებელი წესი.ბრძანება #149 (23.10.2024)
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი **(ბრძანება №167 06.12.2024)** მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს. დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან თანამშრომლობას. დაგეგმილი აქტივობები მოიცავს ოჯახთან/ კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას.

კოლბოურის(სისვაძეების) ბაღმა წარმოადგინა, ასევე საკომუნიკაციო გეგმა,სადაც იკითხება მშობლებთან ბაღის მიერ დაგეგმილი აქტივობები და განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი,პერიოდულობის მითითებით,დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან თანამშრომლობას,დაგეგმილი აქტივობები მოიცავს ოჯახთან/ კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წაახალისებს თემის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც ვლინდება ბაღის მიერ დაგეგმილი აქტივობებში. ჩართულობა ეხება დაწესებულების შიგნით და მის გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებს.აღნიშნული დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუთი და ბაღის საკომუნიკაციო გეგმით.

დაწესებულება წაახალისებს ოჯახის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც ვლინდება ბაღის მიერ კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებულ აქტივიბებში/ღონისძიებებში მათი მონაწილეობის კუთხით.ჩართულობა ეხება დაწესებულების შიგნით და მის გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კოლბოურის (სისვაძეების) ბაღს იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები საკომუნიკაციო გეგმის შედენს წესის **ბრძანება №167 (06.12.2024**)მიხედვით.

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საკონიკაციო გეგმით, სადაც შერჩეული არხები არის მრავალფეროვანი. მაგ: პირდაპირი შეხვედრები, საინფორმაციო დაფა,ფეიზბუქის სასაუბრო ჯგუფი,სატელეფონო საუბარი,ბაღის მიერ დოკუმენტების გაზიარებისას გამოყენებულ იქნა შერჩეული ფორმები,აღნიშნული დასტურდება ასევე ინტერვიუთი აღმზრდელთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი **ბრძანება №167 (06.12.2024)**
- კოლბოურის(სისვაძეებია)ბაღის საკომუნიკაციო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კოლბოურის (სისვაძეების)ბაღი უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას: ბავშვის უფლებების შესახებ, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, რაც დასტურდება ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აღნიშნული აქტივობებით და აღმზრდელთან ინტერვიუთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კოლბოურის(სისვაძეების)საბავშვო ბაღი აწარმოებს ბავშვების შეფასებას და აქვს შეფასების შედეგები.ასევე ინფორმიებულები არიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ,რაც დასტურდება „საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმის,შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით:**ბრძანება№178 18.12.2024**
აღნიშნული ცხადყოფს,რომ
1.დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2.ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კოლბოურის(სისვაძეების)ბაღი იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალიწინებული აქტივობების განხორციელებისას. ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში იკითხება თემში არსებული რესურსის კერძოდ:სკოლის ბიბლიოთეკაში ვიზიტი, აღნიშნული დასტურდება კოლბოური(სისვაძეები)საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმით და ინტერვიუთი აღმზრდელთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს,კერძოდ აღნიშნული ვლინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში **ბრძანება №167 (06.12.2024)** მუხლი 6. განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა.
კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, გაერთიანება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს
ა) კითხვარები;
ბ) შენიშვნების/წინადადების ყუთი;
გ) ღია შეხვედრები;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი **ბრძანება №167 (06.12.2024)**
- კოლბოურის(სისვაძეებია)ბაღის საკომუნიკაციო გეგმა
- „საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმის,შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით:**ბრძანება№178 18.12.2024**
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები.

ორგანოგრამაზე და ასევე გაერთთიანების ბაზაზე არ არის წარმოდგენილი საკონსულტაციო საბჭოს არსებობა/ ჩართულობა, მაგრამ კორბოულის საბავშვო ბაღის ბაზაზე წარმოდგენილია უშუალოდ საბავშვო ბაღის მიერ შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა , (წერილობითი ფორმით, საკონსულტაციო საბჭოს წევრების არჩევა), საბჭოს შემადგენლობაში შედის 5 მშობელი, 2აღმზრდელი .საკონსულტაციო საბჭოს მუშაობას კი ადასტურებს შეხვედრის ოქმებით.(#1- ოქმი 19.10.24/ ოქმი #2-11.11.24 / ოქმი #3 -20.01.25 / ოქმი #4 -27.03.25;)
თუმცა, კანონის ფარგლებში საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის 5 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი და 2 აღმზრდელ-პედაგოგი .გაერთიანების ბაზაზე შემავალ კორბოულის საბავშვო ბაღს კი არ ჰყავს აღმზრდელ-პედაგოგი.
სტატუსის მაძიებლის მიერ,ასევე წარმოდგენილია საშტატო ნუსხა, დასაქმების პოზიციების მითითებით, მაგრამ კონკრეტულ დოკუმენტში არ იკითხება მათი ფუნქციები.

საშტატო ნუსხით წარმოდგენილი პერსონალთა რაოდენობა , არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ არ არის დაცული აღმზრდელის ბაშვებთან თანაფარდობა. (კანონის ფარგლებში 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყოველ 15 ბავშვზე განსაზღვრულია 1 აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი.) კონკრეტული შეუსაბამობის კანონის ფარგლებში მოსაქცევად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვემდე პერიოდზე.

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხა ვერ აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას რაც გაწერილი აქვს 4.2. კომპონენტში, კერძოდ დაწესებულებას არ ჰყავს განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი , ვისაც მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით“პროცესბის აღმწერები და ხარისხის უზრუნველყობა „ ევალება:- დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირება და აღმწერების განსაზღვრა; დაწესებულების პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; წლიური მონიტორინგის გეგმის შედგენა და გაცნობა დაწესებულების პერსონალთან , მონიტორინგის განხორციელება და პროცესების მიმდინარეობის ხარისხის შეფასება; ანგარიშგება;

წარმოდგენილ დოკუმენტებში დასტურდება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება,რადგან საშტატო ნუსხით დაწესებულებას შესაბამის მისამართზე ჰყავს ლოგოპედი, ფსიქოლოგი, მათ მიერ განხორციელდება ბავშვებზე დაკვირვება და საჭიროებების განსაზღვრა.

დაწესებულების შინაგანაწესში, პერონალის მართვის დოკუმენტში უფლებამოვალეობების გადანაწილების, შეთავსების საკითხები არ იკითხება, რაც საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის მდგრად ფუნქციონირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს კადრებით დაკომპლექტება იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს მდგრად ფუნქციონირებას და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. კერძოდ: დაწესებულებამ უზრუნველყოს საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და მუშაობა კანონმდებლობის შესაბამისად.
პროცესების აღმწერ დოკუმენტებში იდენტიფიცირებული ყველა პროცესისთვის, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის სათანადო კომპეტენციის კადრებით დაკომპლექტება.
დაწესებულებამ უზრუნველყოს აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა ბავშვებთან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. დაწესებულება უნდა უზრუნველყოს პროცესების უწყვეტი მიმდინარეობა, რაც ნიშანავს იმას რომ პროცესის განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტული თანამშრომლის დაწესებულებაში ყოფნაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია დაწესებულების შინაგანაწესში, პერონალის მართვის დოკუმენტში იკვეთებოდეს უფლებამოვალეობების გადანაწილების და შეთავსების საკითხები. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების მითითებულ დროში შესრულება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 24 თვემდე პერიოდზე.კერძოდ, „დაწესებულებაში არ არის დაცული აღმზრდელ-პედაგოგის/ აღმზრდელის ბაშვებთან თანაფარდობა, საშტატო ერთეულების დამატება, ხელშეკრულებების მომზადება/გაფორმება.“ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.“ მოცემული მარეგულირებელი წესი არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, ორგანიზება/ დაგეგმვის პროცესს,/ ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესს, შესრულებული სამუშაოს მართვასა და ორგანიზაციიდან გასვლას.
პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანით ,დაწესებულება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება „**ნაწილობრივი** “ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება მარეგულლირებელი წესით“ პერსონალის მართვა და განვითარება“-(დამტკიცებულია „ საჩხერის გაერტიანებული საბავშვო ბაღის “ დირექტორის #168 ბრძანებით) განსაზღვრავს შემდეგს:
„დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1-ით.
 სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი კი მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას: თანამდებობის/პოზიციის დასახელება; სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში); შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები; საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოდში; ანაზღაურება.“

 დაწესებულებამ ვერ წარმოდგინა დანართი N1 -ით გნსაზღვრული სამუშაო აღწერილობა , რაც ინდიკატორის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ მარეგულირებელი წესის შესაბამისად უზრუნველყოს თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობა. ამ მიზნით, შეიმუშაოს სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის.სამუშაო აღწერილობაში განსაზღვორს ის ძირითადი, საკვანძო ინფორმაცია რაც მარეგულირებელ წესში აქვს გაწერილი.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვემდე პერიოდზე. კერძოდ, „ პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის დანართი N1 -ით განსაზღვრული სამუშაო აღწერილობების შედგენა თითოეულ თანამშრომელზე.“ აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას . აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება „**მეტწილი**“ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავების პროცესს არეგულირებს დოკუმენტით-პერსონალის მართვა და განვითარება“ მუხლი 16. (ბრძანება N168), დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ცალკე დოკუმენტად, რადგან მარეგულირებელ წესში იკითხება, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაო აღწერილობის საკვანძო ინფორმაციის ნაწილია.
ამ ეტაპზე ,**პერსონალის** საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია დოკუმენტით-საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემული დადგენილება N111 (25.07. 2018)-„საჩხერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“; დაწესებულების **დირექტორის** საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია დოკუმენტით-საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემული დადგენილებით N112 (25.07. 2018); კონკრეტული დადგენილებები შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის“ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი „მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქარრთველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის“დ“ და „ე“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.ასევე საგანმანათლებლო პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი(ჩანაწერი დადგენილება N111-იდან , პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ- მუხლი 10)
პერსონალისა და დირექორის კვალიფიკაცია შეესაბამება საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემული დადგენილებით N111, N112 (25.07.2018) განსაზღვრულ მოთხოვნებს. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით, პორტფოლიოებით;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგნამანათლებლო პერსონალს, გარდა სოფელი კორბოულის(სისაძვეების) საბავშვო ბაღის გამგისა და აღმზრდელებისა , არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
კონკრეტული ინდიკატორის მოთხოვნასთან მიმართებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვემდე პერიოდზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების გაწერილ დროში შესრულება.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, შინაგანაწესი, დანიშვნის აქტები (ბრძანებები), ხელშეკრულებები;

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2024 წლის 6 დეკემბრის № 168 ბრძანებით;
პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მოიცავს იმ ძირითად საკითხებს რომლების განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობებით. კერძოდ : > ადამიანური რესურსების დაგეგმვა,> კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა და მართვა ; > პერსონალის შეფასება, > პერსონალის განვითარება, > საკადრო დოკუმენტაციის წარმოება; (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ ; საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ ; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილება „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის დადგენილებები ადამიანური რესურსების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით.)

თუმცა საბავშვო ბაღში საკითხი სხვაგვარად იკითხება:-**შინაგანაწესის მიხედვით** ,დაწესებულებაში სამუშაო დღე იწყება 09:00 საათზე და სრულდება 18:00 საათზე, რომლის განმავლობაშიც დაწესებულების პერსონალის დღიური სამუშაო დრო განისაზღვრება ინდივიდუალურად, მაგრამ არაუმეტეს 8 სამუშაო საათისა; საქართველოს კანონი,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ , მუხლი 21-ით არეგულირებს შემდეგს: საჯარო დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო დღის ხანგრძლივობაა 9 საათი, საბავშვო ბაღის დღის განრიგის მიხედვით სამუშაო დრო იწყება 09:00 საათზე და სრულდება 17:00 საათზე, შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი,პირდაპირ არღვევს საქართველოს კანონის შესაბამის მოთხოვნებსა და ასევე შიანაგანაწესსი გაწერილ სამუშაო დღის ხანგრძლივობას. **შინაგანაწესის მიხედვით** -დღის განმავლობაში დაწესებულების პერსონალს (გარდა საგანმანათლებლო პერსონალისა) ეძლევა შესვენება 1 საათის ხანგრძლივობით სხვადასხვა დროს, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე; აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს, და ირღვევა საგანმანათლებლო პერსონალის შრომის უფლება; ასევე საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში შესასრულებელი საქმიანობების ჩამონათვლს. დაწესებულების შინაგანაწესი და საგანმანათლებლო პერსონალთან(აღმზრდელი) გაფორმებული ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება დაწესებულების მიერ დამტკიცებულ “პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს“. ასევე საბავშვო ბაღის მიერ პირადი საქმეების წარმოება სრულყოფილად არ პასუხობს პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში გაწერილ პირად საქმეებში შემავალ ნუსხას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს და თანხვედრაში მოიყვანოს შინაგანაწესი და საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელი) გაფორმებული ხელშეკრულებები , დაწესებულების მიერ დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესთან;" მნიშვნელოვანია დაიცვას ,,საქართველოს შრომის კოდექსით" განსაზღვრული მოთხოვნები, სამუშაო და შესვენების საათებთან მიმართებით; პირადი საქმის წარმოების პროცესი სრულად უნდა პასუხობდეს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილ ინფორმაციას. (მუხლი 21), კერძოდ, დაწესებულებამ ,ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს წარმოების წესში ასახული მოთხოვნები და პირადი საქმეები ან პირიქით, პირადი საქმეების წარმოების არსებლ პრაქტიკას მოარგოს წარმოების წესი. ასევე აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი ანაზღაურებადი არასაკონტაქტო საათის ჩანაწერი.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვემდე პერიოდზე. კერძოდ- „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.საკონტაქტო დაარასაკონტაქტო საათების განსაზღვრა დოკუმენტებში"

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას . აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება „ **ნაწილობრივი „** შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

2. საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პერსონალთან;

გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს(არეგულირებს მხოლოდ დოკუმენტით „პერონალის მართვა და განვითარება")

გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისად არ მოიცავს საკონტაქო და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალს

კონკრეტული ინდიკატორის მოთხოვნასთან მიმართებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვემდე პერიოდზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების გაწერილ დროში შესრულება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები -პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით.(თავი III. ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი)

მარეგულირებელი წესის მიხედვით პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას, კერძოდ ,პირი დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება კონკურსის (ღია/დახურული) საფუძველზე. -პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში გაწერილია ღია კონკურსის ჩატარების ეტაპები .მაგალითად:

ა) დაწესებულების მიერ ვაკანსიის შესახებ განაცხადის მომზადება;

ბ) კონკურსანტის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;

გ) კომისიის ფორმირება;

დ) ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

ე) წარმოდგენილი განაცხადების დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და დოკუმენტების შესწავლა;

ვ) კანდიდატთა შეფასება და საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება.

განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება დაწესებულების თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას (დაწესებულების ადმინისტრაციის ოფისსა თითოეული განყოფილების შენობაში თვალსაჩინო ადგილზე);

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის ღია კონკურსით ჩატარების პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას;

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის ღია კონკურსით ჩატარების პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას,

კერძოდ ღია კონკურსით ჩატარების გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისთვის,

ღია კონკურსის წესს დაწესებულება ასევე არეგულირებს „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ განყოფილებებში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ დოკუმენტით (საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №70.70213543/ 20.12.2021).

მარეგულირებელი წესის დამტკიცების შემდეგ დაწესებულებას ახალი კადრი არ აუყვანია.(დამტკიცებულია 06.12.2024)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას რაც ამ ეტაპზე დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში გაწერილი პროცედურებით, კერძოდ დაწესებულებას გაწერილი აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი. მექანიზმი არეგულირებს შემდეგს:

ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სამსახურში აყვანისთანავე;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სამსახურში აყვანისთანავე;

გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა უშუალოდ პასუხისმგებელი პირის მიერ პირველივე შესაძლებლობის გაჩენის შემთხვევაში;

დ) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა უშუალოდ დაწესებულების განყოფილების ადმინისტრაციის მიერ;

ე) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სამსახურში აყვანისთანავე;

დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ ახალი თანამშრომელი არ მიუღია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს ორგანიზაციული კულტურა, რაც რეგულირდება შინაგანაწესით და ვლინდება დაწესებულების სიცოცხლისუნარიანობაში, თანამშრომლების ქცევასა და გუნდურობაში;

დაწესებულების მიერ განსაზღვრული ღირებულებები ასახავს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კერძოდ, „დაწესებულების საბავშვო ბაღებში პოზიტიური გარემოს ფორმირებას; სამართლიანობის პრინციპის დაცვას; ბავშვთა უფლებების დაცვას; განვითარებისკენ მუდმივ სწრაფვას; ღიაობას; თანამშრომლობასა და გუნდურობას;“

მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპს და ვლინდება,მათ საერთო მიზნებსა და საქმიანობაში; (ინტერვიუ აღმზრდელებთან, გაერთიანების დირექტორთან,საბავშვო ბაღის გამგესთან, შეხვედრის ოქმები **#2** (24.10.24) მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარება საბავშვო ბაღის გამგის მიერ თანამშრომლებთან, თემთან. **ოქმი #1-** (30.01.25)- სამუშაო ჯგუფის შეკრება და მსჯელობა ჯგუფის საჭიროებებზე. თანამშრომლებმა ერთმანეთს და მათ შორის მშბლებს გაუზიარე ბავშვის უფლებები და რეფერირების საკითხები. **ოქმი #3** (31.03.25);

მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს და ვლინდება ერთობლივად შემუშავებული რესურსების,თვალსაჩინოებებით, ცოდნის გაზიარებითა და სამუშაო შეხვედრებით. (ვიზუალური დათვალიერება, ოქმების შესწავლა,მოლოდინების ყუთი;)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი პერსონალის საქმიანობის შეფასებას არეგულირებს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში გაწერილი შეფასების მექანიზმით (მუხლი 18. შესრულებული სამუშაოს შეფასება); თანამშრომლის საქმიანობის შეფასების წესში დაწესებულება აღნიშნავს, რომ სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს, რა ასპექტებს ითვალისწინებს შეფასების სისტემა და რა მეთოდებით განახორციელებს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას.

საბავშვო ბაღის გამგემ ინტერვიუზე აღნიშნა ,რომ მას შექმნილი აქვს მხოლოდ საგანმანათლებლო პერსონალის, „საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი“ შეფასების ფორმები (წარმოადგინა აღნიშნული ფორმები) . ფორმა მოიცავს მარეგულირებელ წესში მითითებულ შესაფასებელ ასპექტებს, კერძოდ,უნარები და დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი , რამდენად შეუძლია აღმზრდელს ისაუბროს ბავშვისათვის გასაგებ ენაზე,, როგორ იყენებს ბავშვებთან პოზიტიური მართვის სტრატეგიებს,რამდენად შეუძლია ბავშვებზე დაკვირვება და ჩანაწერების გაკეთება და ა. შ. რესურსები და ინსტრუმენტები; რა ფორმით მიმდინარეობს აქტივობები? ბავშვებს თუ აქვთ სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა, საგანმანათლებლო რესურსი ჯგუფის ყველა ბავშვისათვის თუა ხელმისაწვდომი და ა.შ.
საბავშვო ბაღის გამგემ აღნიშნა , რომ შეფასების ფორმის გარდა გასაუბრების გზითა და გამოკითხვით ახორციელებს პერსონალის საჭიროებათა მოკვლევას.არდადეგების დაწყებამდე გეგმავს შეხვედრას საგანმანათლებლო პერსონალთან , რათა ერთად გაანალიზონ შეფასებისა და გამოკითხვის შედეგები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

მნიშვნელოვანია დაწესებულებაში ხორციელდებოდეს თითოეული თანამშრომლის შეფასება, როგორც მარეგულირებელ წესშია განსაზღვრული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხელმძღვანელმა ინტერვიუზე აღნიშნა , რომ პერსონალის განვითარება განხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. პერონალის განვითარების პროცესის, შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი აისახება დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. (კონკრეტული ასევე გაწერილია მარეგულირებელ წესში).
ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმის შემუშავება გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში კონკრეტული ინდიკატორის შეფასება მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ განხორციელდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია
დაწესებულებამ წარმოადგინოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა კონკრეტულ კომპონენტზეც, ვინაიდან პერონალის განვითარების პროცესის, შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი აისახება დაწესებულების ერთწიან სამოქმედო გეგმაში და სამოქმედო გეგმის შემუშავება კი გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. მნიშვნელოვანია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული საკითხი.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 12 თვემდე პერიოდზე. კერძოდ, „სამოქმედო გეგმის შემუშავება, სამოქმედო გეგმაში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით პერსონალის განვითარების საკითხების გაწერა“. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება „ **მეტწილი**“ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხელმძრვანელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, არეგულირებს დოკუმენტით „პერსონალის მართვა და განვითარება“; **დოკუმენტის მიხედვით:-** „პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება შემდეგში: წლის განმავლობაში გარკვეული წარმატებებისათვის, კალენდარული წლის ბოლოს, პერსონალიდან ერთ-ერთი სახელდება „წლის საუკეთესო სკოლამდელი განათლების დაწესებულების თანამშრომლად“ და გადაეცემა სპეციალური ფულადი ჯილდო დამფუძნებლისაგან. „
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „ პერსონალის მართვა და განვითარება „ არ იკითხება დაწესებულება როგორ და რა ფორმით უწყობს ხელს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის განვითარებსათან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობა და მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ინიციატივების ხელშეწყობის კონკრეტული ფორმები.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვემდე პერიოდზე. კერძოდ, „პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშემწყობი ფორმების გაწერა; პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობა“.
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება „**ნაწილობრივი** “ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების ორგანოგრამა;
- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცებული „ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ დირექტორის #168ბრძანებით;
- შინაგანაწესი;
- პერსონალის პირადი საქმეები; სერტიფიკატები;
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის დანიშვნის ბრძანებები;
- შესბამისობის გეგმა;
- ფოტომასლა;
- შეხვედრის ოქმები (პირველ სტანდარტში მოხსენიებული)
- შეხვედრის ოქმები თანამშრომლებთან, (#2 -24.10.24 #1 -30.01.25 #3- 31.03.25)
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

4.1 პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული აქვს მმართველობით, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

დოკუმენტში „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“ სტატუსის მაძიებელს აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.(დოკუმენტი დამტკიცებულია ა(ა)იპ „ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N181 ბრძანებით.)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დოკუმენტში „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა," გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის წესი. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ხარისხის ციკლს. (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება).

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ნაწილი დაწყებულია ხარისხის ციკლის შესაბამისად - იგეგმება ან განხორციელების ეტაპზეა გადასული. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ პროცესების აღმწერ დოკუმენტში განსაზღვრულია პროცესები და პროცესებზე პასუხისმგებელი პირები გარდა დაწესებულების ხარისხის უზრუნვეყოფაზე პასუხისმგებელი პირისა ეჭვქვეშ დგება საკითხი, შეძლებს თუ არა დაწესებულება ყველა იდენტიფიცირებული პროცესის ხარისხის ციკლის შესაბამისად მართვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართვისთვის რეკომენდებულია, დაწესებულებამ ამ მიმართულებით გამოყოს პასუხისმგებელი პირი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი/ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე გაითვალისწინოს, რომ ხარისხი უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეთავსებით არ შეიძლება იყოს რომელიმე სხვა პროცესის ე.წ. „მფლობელი" - სხვა პროცესის განმახორციელებელი, რადგან ამ შემთხვევაში სახეზე იქნება პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი. მნიშვნელოვანია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მფლობელების სამუშაო აღწერილობა და ფუნქცია-მოვალეობები ასევე პასუხობდეს პროცესების მართვაში გაწერილ პასუხისმგებლობებს.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 24 თვემდე პერიოდზე.კერძოდ, „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა." მოცემული მარეგულირებელი წესი არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, ორგანიზება/ დაგეგმვის პროცესს,/ ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესს, შესრულებული სამუშაოს მართვასა და ორგანიზაციიდან გასვლას.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანით ,დაწესებულება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **„ნაწილობრივი "** შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი,სადაც ასევე დარეგულირებული აქვს ბავშვის პირადი საქმის წარმოების წესი;

სტატუსის მაძიებელს დამტკიცებული აქვს ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2024 წლის 19 დეკემბრის №179 ბრძანებით);

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ბავშვის ჩარიცხავა-ამორიხვის პროცესი აწარმოოს მარეგულირებელი წესის მიხედვით და გაითვალისწინოს ყველა იმ ძირითადი დოკუმენტის შემუშავება რასაც წესში გაწერს. კერძოდ კონკრეტული წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს ბავშვების პირად საქმეების წარმოებისთვის დადგენილი წესი, რომელსაც არეგულირებს ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესით;(მუხლი 5)

დაწესებულებას აქვს პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი, რომელსაც არეგულირებს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით;(მუხლი 21)

პერსონალის პირადი საქმეების წარმოება არ ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, თანამშრომლების პირად საქმეებში არ იდო სერტიფიკატები, (სერტიფიკატები იდო პერსონალის პორტპოლიოში); ბრძანების ასლები (ბრძანებები იყო ცალკე დოკუმენტად წარმოდგენილი) და პერსონალის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა აწარმოოს პირადი საქმეები დადგენილი წესის შესაბამისად. დაიცვას მარეგულირებელი წესით დადგენილი მოთხოვნები, ნუსხით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი წარმოადგინოს პირად საქმეში.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვემდე პერიოდზე. კერძოდ, „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა“.პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი, არეგულირებს შესრულებული სამუშაოს მართვას (თავი IV) , თანამშრომელთა პირად საქმეებს (მუხლი 21);
პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანით ,დაწესებულება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება „**ნაწილობრივი** “ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტი-დამტკიცებული ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N181 ბრძანებით;
- „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“- დამტკიცებული ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის N179 ბრძანებით;

- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი; დამტკიცებული ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის ბრძანებით N168
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას[4]

იხილეთ, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის N4 სტანდარტის "სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა" 4.3. კომპონენტით "მატერიალური რესურსი" განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების კითხვარი

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

[4] აღნიშნული კომპონენტის შეფასებისას იხელმძღვანელეთ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის კითხვარით.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი[5]

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

იხილეთ, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის N4 სტანდარტის "სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა" 4.4. კომპონენტით "კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი" განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების კითხვარი

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

[5] აღნიშნული კომპონენტის შეფასებისას იხელმძღვანელეთ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის კითხვარით.

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები[6]

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

იხილეთ,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის N4 სტანდარტის "სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა" 4.5. კომპონენტით "სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები" განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების კითხვარი

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აღნიშნულ ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებით ნაწილობრივ გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვემდე პერიოდზე, კერძოდ შესაბამისობის გეგმაში არსებული ჩანაწერი უკავშირდება საგანგემო სიტუაციებში რეაგირებას, მაგრამ კონკრეტულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში არ გამოიკვეთა პირველადი გადადუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავების პროცესი.

[6] აღნიშნული კომპონენტის შეფასებისას იხელმძღვანელეთ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის კითხვარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პირველადი გადადუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების გაწერა;სადაც გაწერს თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარებისაღმოჩენაზე, მნიშვნელოვანია პირველადი დახმარების საშუალებები ვარგისი იყოს გამოყენებისთვის. სავალდებულოა დაწესებულება აწარმოებდეს სამედიცინო შემთხვევების აღიცხვის ჟურნალს, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას.

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის მითითებულ დროში განხორციელება;

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის ღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვემდე პერიოდზე. კერძოდ, „ საბავშვო ბაღს არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“. „დაწესებულება გადაამზადებს პერსონალს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით, ასევე დანართი N1 -ით წარმოადგენს და განსაზღვრავს სამუშაო აღწერილობებს“. კონკრეტული აქტივობების განხორციელება უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას . ვინაიდან დაწესებულება კონკრეტული აქტივობების განხორციელების შემდეგ შეძლებს განსაზღვროს კომპეტენტური პასუხისმგებელი პირი პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით და გაწეროს კომპეტენტური პირის მხარდაჭერით ის პროცედურები ,რაც განხორციელდება გადაუდებელი შემთხვევისას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება „**მეტწილი**“ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აღწერილი აქვს მის ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები.

მცენარეების აღწერას საბავშვო ბაღში უზრუნველყოფს მთავარი სპეციალისტი (მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის დარგში), თუმცა როგორც დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რადგან არ ჰყავს შესაბამისი კადრი არაოფიციალურად მას დაავალა მცენარეების აღწერა და მახასიათებლების შესწავლა;

ინტერვიზე მთავარმა სპეციალისტმა აღნიშნა რომ აღწერილი მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვებისა და პერსონალისთვის; თუმცა კონკრეტული ჩანაწერი არ იკითხება წარმოდგენილ დოკუმენტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებაში მცენარეების აღწერა რეკომენდირებულია ხორციელდებოდეს შესაბამისი კომპეტენტური პირის მიერ, ასევე მნიშვნელოვანია, მცენარეების აღწერის დოკუმენტში არსებული ინფორმაცია მოიცავდეს მონაცემებს მცენარის პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N90 (16.08.25) „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.ასევე დაწესებულებამ შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვიმდე პერიოდზე. კერძოდ, მცენარეების აღწერაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადება“. დაწესებულება პასუხისმგებელი პირის კომპეტენციის ამაღლების შემდეგ შეძლებს მცენარეების უსაფრთხოების შეფასებას და აღნიშნულის აღრიცხვის დოკუმენტში ჩაწერას. მოცემული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება „**მეტწილი**“ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანის დროს უსაფრთხოების წესებს იცავს შემდეგნაირად: ინტერვიუ საბავშვო ბაღის გამგესთან :-აქტივობას გეგმავს წინასწარ და იღებს ნებართვას, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, განსაზღვრავს უფროსების თანაფარდობას ბავშვებთან , აუცილებლად გაჰყავთ მშობლებთან ერთად.

სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე) , რომელიც ასევე მოიცავს თანხმობას ბავშვის ფოტო-ვიდეო გადაღებასა და საჯაროობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს და გაწეროს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესები/ პროცედურები ,რასაც შემდგომ გააცნობს მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძებლის გარემო პროგნოზირებადია ბავშისთვის რაც დასტურდება დაწესებულებაში გამოკრული ვიზუალური მინიშნებებით, პროგნოზირებადი დღის განრიგით,

ბავშვებისთვის დღის განრიგის გაცნობა დასტურდება პროგნოზირებადი, დასურათებული დღის განრიგით; ხელნაკეთი ბარათებით, სადაც დღის აქტივობებია გამოსახული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კორბოული (სისაძვეების) საბავშვო ბაღის გამგეს და 2 აღმზრდელს გავლილი აქვს ტრენინგი ბავშთა უფლებები. როგორც ინტერვიუზე აღნიშნა ,ინფორმაცია ბავშვთა უფლებების შესახებ გაუზიარა პერსონალს , 31 მარტიდად დაიწყო აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „კვირეული,“რასაც ადასტურებს მშობელთა ოთახში გამოკრული პრეზენტაციით, ფოტო-მასალით და ოქმით N: 3 (31.03.2025);

ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია გამოკრულია საბავშო ბაღის საინფორმაციო დაფაზეც.

ბავშვთა უფლებების დაცვა დაწესებულების პერსონალის მხრიდან იკვეთება ყველა ინდიკატორის ასპექტში.კერძოდ, ბავშვთა უფლებების დაცვა აისახება მისიის ფორმულირებაში - მაგ: -„ დაწესებულების მისიაა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და კეთილდღეობაზე ორიენტირებული, უსაფრთხო, მეგობრული, ინკლუზიური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას, ცხოვრებისა და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.“ ბავშვთა უფლებები ვლინდება კურიკულუმის განხორციელებაშიც, კერძოდ, განვითარებაზე ორიენტირებული , არადისკრიმინაციული , ინკლუზიური მიდგომით. ყველა ბავშვს აქვს თანაბარი წვდომა

განათლებასა და რესურსებზე , აქვთ თვითგამოხატვისა და თავისუფალი თამაშის უფლება. დაცული და გამოკვეტილია ბავშვის ინდივიდუალურობა და საჭიროებები. ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ.
ოჯახისა და თემის ჩართულობა: დაწესებულება მშობელთა ინფორმირებულობითა და ჩართულობით უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების პატივისცემას ოჯახურ დონეზე. დაწესებულებაში გამოკვეთილია ბავშვის ჯანმრთელობის უფლებაც : სწორი კვებით, ჰიგიენური პირობებითა და ფიზიკური უსაფრთხოებით. გაწერილია პროცედურები ბავშვთა ძალადობის ეჭვის შემთხვევასი მოქმედებისათვის. დაცულია კონფიდენციალურობა. დაწესებულება ზრუნავს ბავშებს შეუქმნას ჯანსაღი გარემო.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი, სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის.

ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისათვის მარეგულირებელი წესი დამტკიცებული საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის N171 ბრძანებით;

სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი;

აღნიშნული პირი უფლებამოსილია დირექტორის ბრძანებით N172 .(11.12.2024)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი ახორციელებს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებს, რაც დასტურდებაკორბოულის (სისაძვეების) საბავშვო ბაღის გამგესთან და აღმზრდელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე. ბაღის ატივობებში ბავშვის სრულად ჩართვამდე გადიან ეტაპობრივ ადაპტაციას, ბავშვების მოყვანამდე მშობლებსა და ბავშვებს იწვევენ საბავშვო ბაღში და აცნობენ გარემოს, პირველ დღეებში ბაღში ბავშვები არიან მშობლებთან ერთად , დროთა განმავლობაში ცვლიან მშობლის დასწრებასა და ბაღში ყოფნის ხანგრძლოვობას, აქაც ითვალისწინებენ ბავშვის მზადყოფნას.
თემში გაყვანის დროს, მაგალითად სკოლაში გაყვანამდე,ბავშვებთან აქვთ საუბრები თემაზე : რა არის სკოლა? როგორი შეიძლება იყოს სკოლის დღე და ა.შ; იყენებენ ვიზუალურ მასალას, ათამაშებენ სკოლობანას.ვიზიტის დროს ბავშვები ათვალიერებენ სკოლის გარემოს, ერთვებიან მცირე საკლასო აქტივობებში, ხვდებიან მასწავლებლებს და ა.შ. (თემში გაყვანის აქტივობა გაწერილია დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმაში)
სტატუსის მაძიებელი ახორციელებს ბავშვის მცირე ტრანზიციების ხელშემწყობ აქტივობებს რაც დასტურდება მოკლევადიან გეგმებში გაწერილი და გამოყენებული მცირე ტრანზიციის საშუალებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს წერილობითი წესი ან გზამკვლევი, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის ადაპტაციის პროცესის ეტაპებს, მასში ჩართული პირების როლს და მხარდაჭერის ფორმებს. აღნიშნული წესი ხელს შეუწყობს მშობლების ინფორმირებას , მზადების პროცესსა და თანამშრომლობას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოციალურ ქსელში განთავსებაზე.

სტატუსის მაძიებელი იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც დასტურდება პერსონალის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით.

კონფიდეციალურობის დაცვის შესახებ დაწესებულებამ წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“; დოკუმენტით დაწესებულება არეგულირებს მონაცემთა დაცვის ძირითად პრონციპებს და მექანიზმებს, თუმცა კონკრეტულ დოკუმენტს არ ახლდა მისი დამტკიცების დამადასტურებელი ბრძანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

თუ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი მტკიცებულებად, რომელითაც ხელმძღვანელობს ან/და პრაქტიკაში სურს დანერგოს და გამოიყენოს, კონკრეტულად-„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“, აუცილებელია კონკრეტული დოკუმენტი დამტკიცდეს ბრძანებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლის წერილობითი ნებართვა (დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანასა და ფოტო-ვიდეო გადაღებაზე);
- კონფიდენციალურობის დაცვის წერილობითი ფორმა;
- „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“;
- პროგნოზირებადი დღის განრიგი; ხელნაკეთი ბარათები;
- ფოტო-მასალა;
- ვიზუალური მინიშნებები;
- გაწერილი პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისათვის; ბრძანება N171
- დაწესებულების ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ; ბრძანება N172
- ოქმი N 3 (31.03.2025);
- სერტიფიკატები;
- ინტერვიუს შედეგები;
- მოკლევადიანი გეგმების ფორმა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ბრძანება N90 (16.08.25) „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს ფინანსური რესურსი გადაცემული, რაც დასტურდება საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 ნოემბრის N17 დადგენილებით.
დაწესებულებას ვინაიდან არ აქვს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმის შემუშავება გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, კონკრეტული ინდიკატორის შეფასება, რამდენად უზრუნველყოფს ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმის განხორციელებას, მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ განხორციელდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ წარმოადგინოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა კონკრეტულ კომპონენტზეც და უზრუნველყოს კონკრეტული აქტივობის შესაბამის დროში განხორციელება.მნიშვნელოვანია დაწესებულების ფინანსურმა რესურსმა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხორციელება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვის პერიოდზე. კერძოდ, „დაწესებულება შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც თანხვედრაში იქნება ფინანსური რესურსისთ უზრუნველყოფის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან“. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება „**ნაწილობრივი** “ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ყოველწლიური ბიუჯეტი იგეგმება დამფუძნებლის მიერ გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში. ბიუჯეტი დაგეგმილია მუხლობრივად საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. ბიუჯეტი ნაწილდება შემდეგნაირად: **1)** შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება;**2)** მივლინებები;**3)** საოფისე ხარჯები;**4**)კვების ხარჯები; **5**)სამედიცინო ხარჯები;**6**) რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები; **7**)ტრანსსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯები;**8**)ტრანსპორტის , ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები; **9)**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება- კადრების მომზადება- გადამზადებასთან , კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯები; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების სასწავლო- მეთოდური ლიტერატურისა და სასწავლო პროგრამების მასალების ხარჯები, ტენდერების ხარჯები.

ბიუჯეტში კონკრეტულად კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისათვის გამოყოფილი რესურსის ხარჯები არ არის ცალკე მუხლად ასახული, დაწესებულების ბიუჯეტში განსაზღვრული სხვა ხარჯები მოიაზრებს რესურსის ხარჯებს სხვა ხარჯებთან ერთად. დაწესებულება მარეგულირებელ წესში განსაზღვრავს , რომ საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:(წესში მითითებულია სქემა შემდეგი საფეხურეობრივი განლაგებით) 1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბაღების მიხედვით 2.შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბაღების მიხედვით; 3. შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/ შესყიდვის განხორციელება; 4 შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა; 5. შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბაღების მიხედვით; 6. შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში; 7. ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია -დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით; (დაწესებულების ხელმძღვანელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ წესში გაწერილი სქემით ამ ეტაპზე არ ხელმძღვანელობენ);

დაწესებულება მარეგულირებელი წესით (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა)არეგულირებს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღებას და აღნიშნული რესურსების შეძენის ეტაპებს ,თუმცა წარმოდგენილ ბიუჯეტში არ არის ასახული ფინანსური რესურსების გადანაწილება ისე, რომ პირდაპირი კავშირი დადგინდეს კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებთან. არ იკითხება რა სახსრებია გამოყოფილი კონკრეტული საგანმანათლებლო აქტივობებისა და სასწავლო რესურსების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ განსაზღვროს საჭიროებები კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე . ბიუჯეტში ფინანსური გადანაწილება უნდა ასახავდეს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების პირდაპირ მხარდაჭერას, ბიუჯეტში ნათლად უნდა აისახოს კურიკულუმის მიზნებისთვის განკუთვნილი თანხა და რომელი ხარჯი რომელი კურიკულუმის მიზანს ემსახურება.

რჩევა

საბავშვო ბაღებმა დაწესებულებასთან წარმოადგინონ საჭიროებები, რაც თვალსაჩინოდ დაკავშირებული იქნება კურიკულუმის ამოცანებთან, რათა დაწესებულებამ სწორად და მიზნობრივად გადაანაწილოს ხარჯები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვის პერიოდზე. კერძოდ, „ ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტში დაწესებულება ასახავს კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტულ საჭიროებებს“. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება „**ნაწილობრივი** “ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა შემუშავებული.

ინტერვიუზე მთავარმა ბუღალტერმა ისაუბრა როგორ ახორციელებს დაწესებულება დაგეგმვას. კერძოდ, დაწესებულება წლის განმავლობაში გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს. გაუთვალისწინებელი საჭიროებების შემთხვევაში, დაწესებულება წერილობით მიმართავს დამფუძნებელს თანხის დამატების თხოვნით. შესაძლებლობის ფარგლებში ხდება არგუმენტებით დამტკიცებული საჭიროებების გათვალისწინება და თანხის დამატება. ასევე დაწესებულების მხრიდან ხორციელდება ფინანსური რესურსის განკარგვა, საბავშვო ბაღებისთვის მატერიალური, საგანმანათლებლო რესურსის გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარებებით.

თუმცა 2025 წლის 14 იანვრის წერილის საფუძვლად დასტურდება, რომ სუბსიდიას დაწესებულებას განუსაზღვრავს მერია, დაწესებულება კი შემდეგ თავად ანაწილებს მუხლობრივად ჩაშლილ საჭიროებებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ დაგეგმვას, განკარგვას, მონიტორინგსა და შეფასებას.

რჩევა

სასურველია ფინანსური რესურსების მართვის სისტემა მოიცავდეს: 1. **საჭიროების იდენტიფიკაციას ბაღების მონაწილეობით**- ამ დროს საბავშვო ბაღები თავად განსაზღვრავენ საჭიროებებს ეს იქნება საგანმანათლებლო რესურსი, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი , ტრენინგები თუ სხვა, რომელიც დაფუძნებული იქნება კურიკულუმის მიზნებზე. საჭიროების განსაზღვრისთვის შესაძლებელია დაწესებულებამ შეიმუშაოს შესაბამისი ფორმა; **2. დაგეგმვის მექანიზმი** - დაწესებულებამ შეიმუშაოს ბიუჯეტირების ერთიანი გეგმის ფორმა, სადაც ასახული იქნება ბაღების მიერ მოწოდებული საჭიროებები;ბიუჯეტის დაგეგმვა მიბმული უნდა იყოს საგანმანათლებლო პრიორიტეტებსა და კურიკულუმს; **3. განკარგვის პროცედურები** -რესურსების დროული და გამჭვრვალე მიწოდება ბაღებისთვის. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება , მიღება-ჩაბარებე და ა.შ. (დაწესებულება აწარმოებს მიღება- ჩაბარებებს) .**4) მონიტორინგი და შეფასება** -დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმა რომელიც შეაფასებს , რა რესურსი მიეწოდა ბაღს, როგორ იქნა გამოყენებული , შეესაბამება თუ არა მიზნობრიობას. შეფასების დროს მნიშვნელოვანია ბაღების თვითშეფასების ჩართვაც . მართვის შიდა რეგულაციებში, კერძოდ მონიტორინგის განხორციელებისას გაწეროს პერიოდულობა, რადგან საბიუჯეტო კალენდარში წინასწარ უნდა იყოს გაწერილი მონიტორინგის განხორციელების ვადები. მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება კი ასახოს ანგარისის სახით.

ფინანსური რესურსების მართვის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ხარისხის ციკლს და მოიცავდეს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპებს. ასევე გასათვალისწინებელია დაწესებულების მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში , დაწესებულებამ

დამფუძნებელს უნდა მიაწოდოს თანხობრივად განსაზღვრული საჭიროებები და შემდეგ ამის საფუძველზე მოხდეს დაწესებულებისთვის ასიგნების გადაცემა და ხარჯვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვის პერიოდზე. კერძოდ, „დაწესებულება შეუმუშავებს ფინანსური რესურსების მართვის სისტემას და დანერგავს პრაქტიკაში“. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება „**ნაწილობრივი** “ შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტი;
- შესყიდვის დოკუმენტაცია;
- მიღება- ჩაბარებები;
- ინვენტარიზაციის ცხრილი;
- საშტატო ნუსხა;
- წერილი მერს (14.01.2025);
- საკრებულოს 2024 წლის 29 ნოემბრის #17 დადგენილება;
- ინტერვიუს შედეგები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სავალდებულო დანართის დასახელება
ვიზიტის დღის წესრიგი
4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი
4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი
4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართის N	2. სხვა დანართის დასახელება
1	
2	
3	

<u>თარიღი</u> : 10.09.2025

ხელმომწერი	სახელი გვარი	ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე		
ხარისხის ექსპერტი	ნუცა გელაშვილი	
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები		
კურიკულუმის ექსპერტი:	*მაია ჭანკვეტაძე*	
კვების დარგში ექსპერტი:	*ბესიკ მარგველაშვილი*	
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:	*თამარ ჭონიშვილი*	